ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1979552

ნომერი: AR1312421

თარიღი : 22.05.2015

გაცემის თარიღი : 26.06.2015

გაცნობის თარიღი : 18.01.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჩიკვილაძე პ/ნ 01001013965
- თბილისი გლდანი I მ/რ კორ. 23 ბ. 58

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 მაისის N653374 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 22/05/2015წ. #AR1312421 განცხადებით მომართეს შპს "მამუკა და მამიკო"-ს დირექტორმა აკაკი ჩიკვილაძემ და შპს-ს პარტნიორებმა მაკრინე დალაქიშვილმა, გიორგი ჩიკვილაძემ, რევაზ ლობჟანიძემ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2013 წლის 10 მაისის N653374 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 მაისის N653374 გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N 48 ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.17.12.060.006; 01.17.12.060.008;) მრავალფუნქციური შენობის აშენების მიზნით დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმება ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ განხორციელებულა.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის N 882013169229-03 (22.04.2013) გადაწყვეტილების საფუძველზე მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.12.060.006 გაიმიჯნა ორ დამოუკიდებელ მიწის ნაკვეთად 1) ს/კ 01.17.12.060.031 2.) ს/კ 01.17.12.060.032.

საჯარო რეესტრის ამონაწერების თანახმად მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.12.060.031 წარმოადგენს შპს „მამუკა და მამიკო“-ს საკუთრებას (განცხ. რეგ. N 882013169229), მეორე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.17.12.060.032 ფიქსირდება კახა ბუბაშვილის, კობა გელაშვილის, შალვა სპანდერაშვილისა და ხუტა ალუღიშვილის თანასაკუთრება (განცხ. რეგ. N 882013194573), მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.17.12.060.008 წარმოადგენს ასევე შპს „მამუკა და მამიკო“-ს საკუთრებას (განც. რეგ. N 882015320863)

დღესდღეობით განმცხადებლების მოთხოვნას წარმოადგენს სამსახურის 2013 წლის 10 მაისის N653374 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება, რამდენადაც მესაკუთრეებს აღარ სურთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება აღნიშნული აქტის შესაბამისად.

განმცხადებლების მიერ AR1312421 განცხადებით წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით 01.17.12.060.032) მესაკუთრეთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები (სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი N12337962585515 18.06.2015) სამსახურის 2013 წლის 10 მაისის N653374 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1–ლი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, სამშენებლო მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს არ გააჩნია 2013 წლის 10 მაისის N653374 აღმჭურველი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი და აღნიშნული აქტის საფუძველზე, მშენებლობა ნაწარმოები არ არის, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა ინიდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს "მამუკა და მამიკო"-ს დირექტორის აკაკი ჩიკვილაძის, შპს-ს პარტნიორების მაკრინე დალაქიშვილის, გიორგი ჩიკვილაძისა და რევაზ ლობჟანიძის #AR1312421 განცხადება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 მაისის N653374 გადაწყვეტილება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge